

## სკოპინგის დასკვნა N41

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდა, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „პარვუს ბასრა“;

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 03.06.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „პარვუს ბასრა“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „პარვუს ბასრას“ მიერ, წარმოდგენილია ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ბჟუჟას ხეობაში „ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“ ჰესების ექსპლუატაციის (დადგმული სიმძლავრეების გაზრდა), 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „პარვუს ბასრა“ მდ. ბჟუჟას ხეობაში ახორციელებს ჰესების „ბასრა 1“ (სიმძლავრე 1,98 მგვტ), „ბასრა 2“ (სიმძლავრე 1,97 მგვტ), „ბასრა 3“ (სიმძლავრე 1,96 მგვტ) და „ბასრა 4“ (სიმძლავრე 1,98 მგვტ) მოწყობა-ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „პარვუს ბასრას“ დაგეგმილი აქვს „ბასრა ჰესების“ სიმძლავრეების გაზრდა, რაც განპირობებულია საკვლევ რეგიონში 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობით (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N2-1078 - 12/11/2019). აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი უზრუნველყოფს „ბასრა ჰესების“ გენერირებული ელექტროენერგიის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების საზღვრებში, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბასრა ჰესების“ სიმძლავრეების ცვლილებას, რის შედეგად ჰესების ჯამური სიმძლავრე მიაღწევს დაახლოებით **29,34 მეგავატს**. გარდა ამისა, „ბასრა ჰესების“ მიერ გამომუშავებული ენერგიის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვის მიზნით, გათვალისწინებულია შემდეგი საქმიანობების განხორციელება: არსებული 10 კვ საკაბელო ეგხ-ის ძაბვის ამალღება 35 კვ-მდე; ეგხ „შემოქმედამდე“ მიყვანილი საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ ქვესადგურამდე დაგრძელება/გაყვანა და ახალი 110 კვ ქვესადგურის მოწყობა. საპროექტო

ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს შპს „პარვუს ბასრას“ სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ხოლო ნაწილი (საპროექტო 35 კვ ეგზ-ის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების ადგილი) ხვდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი ჰესების ინფრასტრუქტურიდან, კერძოდ „ბასრა 2“-ის სათავე კვანძიდან მდებარეობს დაახლოებით 800 მეტრში (სოფ. გომისმთა). პროექტით გათვალისწინებული 110 კვ. ქვესადგურიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფ. შემოქმედი) მდებარეობს დაახლოებით 1,5 კმ-ის დაშორებით. 110 კვ ძაბვის ქვესადგურის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 10-15 მეტრში მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ-45 ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთა).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა ტექნიკური-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „ბასრა 1“ და „ბასრა 3“ ჰესებს გააჩნიათ დამოუკიდებელი სათავე კვანძები და ჰესების მიერ აღებული წყალი მიედინება საერთო ძალურ კვანძში („ბასრა 3-1“), ხოლო „ბასრა 2“ და „ბასრა 4“ ჰესებს აქვთ ინდივიდუალური ძალური კვანძები.

**„ბასრა 1“ ჰესის** (სიმძლავრე 1,98 მგვტ) სათავე კვანძი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომელიც განთავსებულია მდ. ბჟუჟაზე, ზღვის დონიდან. დაახლოებით 1118-1120 მ ნიშნულზე (GPS კოორდინატები: X-261584; Y- 4634069). „ბასრა 1“ ჰესის სათავე კვანძი შემადგენლობაში შედის: გვერდითი ტიპის წყალმიმღები, სალექარი (სიგანე/სიმაღლე/სიგრძე: 6მ x 3,50მ x 35,3 მ), 10 საფეხურიანი თევზსავალი, ასევე ბასრა 1 ჰესი მოიცავს სადერივაციო მილსადენს, რომელიც სათავე კვანძიდან აწვდის წყალს ძალურ კვანძს. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, „ბასრა 1“ ჰესის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - **0,28 მ<sup>3</sup>/წმ**, რომელიც თევზსავალის მეშვეობით, მუდმივად გათავისუფლდება ქვედა ბიეფში.

**„ბასრა 3“ ჰესის** (სიმძლავრე 1,96 მგვტ) სათავე კვანძი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომელიც განთავსებულია მდინარე ბჟუჟას მარცხენა შენაკადზე ზ.დ. დაახლოებით 916-920 მ ნიშნულზე (GPS კოორდინატები: X-260492; Y- 4634160). „ბასრა 3“ ჰესის სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის: გვერდითი ტიპის წყალმიმღები (საერთო სიგრძე სალექარის ჩათვლით 38 მ), სადაწნეო მილსადენი (დიამეტრი - 1000 მმ; სიგრძე 1550 მ), 10 საფეხურიანი თევზსავალი და ჰესის შენობა. „ბასრა 3“ ჰესის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - **0,16 მ<sup>3</sup>/წმ**, რომელიც თევზსავალის მეშვეობით, გაედინება ქვედა ბიეფში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, („ბასრა 3-1“) ძალურ კვანძში განთავსებულია „ბასრა 3“-ის 1,96 მგვტ სიმძლავრის ჯვარედინი ნაკადის ტურბინა და „ბასრა 1“-ის 1,98 მგვტ სიმძლავრის „პელტონის“ ტურბინა. წარმოდგენილი ინფორმაციით, „ბასრა 1“-ის და „ბასრა 3“-ის ტურბინები ერთმანეთისგან გამოყოფილია ე.წ სენდვიჩ პანელებით. წარმოდგენილი

ინფორმაციით, „ბასრა 1“-ის ტურბინას წყალი მიეწოდება „ბასრა 1“-ის სათავე კვანძიდან, ბასრა 3-ის ტურბინას - ბასრა 3-ის სათავე კვანძიდან.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში, „ბასრა 3-1“ ჰესის შენობაში ჩასატარებელი ღონისძიებები მოიცავს:

- „ბასრა 3“ ჰესისთვის განკუთვნილი 1,96 მგვტ სიმძლავრის ე.წ „ჯვარედინი ნაკადის“ ტურბინის ჩანაცვლებას, **4.15 მგვტ** დადგმული სიმძლავრის იგივე ტიპის ტურბინით;
- „ბასრა 1“ ჰესის **1,98 მგვტ** სიმძლავრის პელტონის ტურბინის ჩანაცვლებას იგივე ტიპის **6.24 მგვტ** სიმძლავრის პელტონის ტურბინით და სენდვიჩ-პანელით გამოყოფილ სივრცეში დამატებით ერთი პელტონის ტიპის ტურბინის მოწყობას **6.29 მგვტ** სიმძლავრით. ჯამურად „ბასრა 3-1“ ჰესის შენობის შემადგენლობაში იქნება 3 ტურბინა, საიდანაც ორი განკუთვნილი იქნება „ბასრა 1“ ჰესისთვის და ერთი „ბასრა 3“ ჰესისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ბასრა 2“ ჰესი შედგება ორი სათავე კვანძისაგან და საერთო სალექარისგან. „ბასრა 2“-ის სათავე კვანძები, საერთო სალექარისა და სადაწნეო მილსადენის გავლით აწვდის წყალს „ბასრას 2“-ის ძალურ კვანძს. **N1 სათავე კვანძი** მდებარეობს მდ. ბჟუჟაზე ზ.დ. დონიდან დაახლოებით 1515-1516 მ-ზე (GPS კოორდინატები: X- 263579, Y- 4632494), **N2 სათავე კვანძი** (GPS: X- 263459, Y- 4632816) - მდინარის მარჯვენა შენაკადზე. N1 სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის წყალსაგდები, წყალმიმღები (სიგანე 9 მეტრი, სიმაღლე - 4 მეტრი) და 7 საფეხურიანი თევზსავალი ნაგებობა. N2 სათავე კვანძის შემადგენლობაში შედის წყალსაგდები წყალმიმღები (სიგანე 9 მ, ხოლო სიმაღლე - 5,6 მ) და 7 საფეხურიანი თევზსავალი. „ბასრა 2“ ჰესის N1 სათავე კვანძის ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - **0,18 მ<sup>3</sup>/წმ**, ხოლო მარჯვენა შენაკადზე N2 სათავე ნაგებობის ეკოლოგიური ხარჯია - **0,05 მ<sup>3</sup>/წმ**. ეკოლოგიური ხარჯი თევზსავალებიდან განუწყვეტლივ გატარებული იქნება ქვედა ბიეფის მიმართულებით, მდინარის ბუნებრივ კალაპოტში.

„ბასრა 2“ ჰესის სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი (დიამეტრი - 1200 მმ; ჯამური სიგრძე 3,311 მ) შედგება სამი ნაწილისგან: **I** - „ბასრა 2“-ის მთავარი წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი მონაკვეთი, **II** - ტიროლის (N2) წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე და **III** - საერთო სალექარიდან „ბასრა 2“ ჰესის ძალური კვანძის შენობამდე მონაკვეთი.

„ბასრა 2“ ჰესის შენობის პარამეტრებია: 23 x 13 მ. ჰესის შენობა განთავსებულია ზ.დ.დ 1112-1118 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: Y-261466, X-4634093). კონსტრუქცია შედგება რკინაბეტონის საძირკვლისგან და ლითონის კარკასისაგან. პროექტის ფარგლებში, „ბასრა 2“ ჰესის შენობაში ჩასატარებელი ღონისძიებები მოიცავს:

- **1,97 მგვტ** სიმძლავრის ტურბინის ჩანაცვლებას იგივე ტიპის ტურბინით, რომლის სიმძლავრე იქნება **6,24 მგვტ**, ამასთან, „ბასრა 2“-ის ჰესის შენობაში დამატებით კიდევ ერთი პელტონის ტურბინის განთავსებას, დადგმული სიმძლავრით - **3,1 მგვტ**.

ტურბინებიდან წყლის მდინარეში დაბრუნება განხორციელდება გამყვანის არხების მეშვეობით. თითოეული ტურბინისთვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური გამყვანი არხების მოწყობა.

„ბასრა 4“ ჰესი შედგება ორი სათავე კვანძისაგან და ერთი საერთო სალექარისგან (GPS კოორდინატები: X- 264525, Y- 4630956). სათავე ნაგებობები (N1; N2) მოწყობილია ზღვის დონიდან 1715-1716 მ ნიშნულზე. N1 სათავე კვანძი მოწყობილია მდ. ბჟუჟაზე (GPS კოორდინატები: X-264355, Y-4630613), N2 სათავე კვანძი - მდ. ბჟუჟას მარჯვენა შენაკადზე (GPS: X-264596, Y-4630949). სათავე კვანძები წარმოადგენს ტიროლის ტიპის გვერდითი წყალმიმღებით აღჭურვილ რკინა-ბეტონის ნაგებობებს. სათავე კვანძების შემადგენლობაში შედის საფეხურიანი ტიპის თევზსავალი ნაგებობები, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენები, საერთო სალექარი (პარამეტრებით: სიგანე/სიმაღლე/სიგრძე: 5მ x 3.50მ x 19მ.). მდ. ბჟუჟაზე სათავე კვანძის (N1) საანგარიშო კვეთში ეკოლოგიურ ხარჯად დადგენილია - **0,10 მ<sup>3</sup>/წმ**, ხოლო მდ. ბჟუჟას მარჯვენა შენაკადის სათავე კვანძის (N2) საანგარიშო კვეთში - **0,03 მ<sup>3</sup>/წმ**.

„ბასრა 4-ის“ სადერივაციო-სადაწნეო მილსადენი შედგება სამი ნაწილისგან: I - „ბასრა 4“-ის მთავარი წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი მონაკვეთი; II - N2 წყალმიმღებიდან საერთო სალექარის კამერამდე დამაკავშირებელი და III – საერთო სალექარიდან „ბასრა 4“ ჰესის ძალური კვანძის შენობამდე მონაკვეთი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მილსადენების ჯამური სიგრძე შეადგენს 2 კმ-ს, დიამეტრი - 1000 მმ-ს. მილსადენების დერეფნები განთავსებულია მდინარის მარჯვენა ნაპირებზე, არსებული გზების გასწვრივ.

„ბასრა 4“-ის სათავე კვანძები, ინდივიდუალური მილსადენებისა და საერთო სალექარის გავლით წყალს აწვდის „ბასრას 4“-ის ძალურ კვანძს (ზომებით 23 x 13 მ), რომელიც განთავსებულია ზ.დ.დ 1515 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატებია: X- 263445, Y- 4632720). „ბასრა 4“-ს ჰესის შენობაში დაგეგმილია **1,96 მგვტ** ე.წ „ჯვარედინი“ ტურბინის, იგივე ტიპის **3,3 მგვტ** სიმძლავრის ტურბინით ჩანაცვლება. ტურბინიდან წყლის მდინარეში დაბრუნდება გამყვანი არხის მეშვეობით.

ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, „ბასრა ჰესების“ მიერ გამომუშავებული ენერჯის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ქსელში ჩართვისთვის გათვალისწინებულია:

- არსებული 10 კვ საკაბელო ეგხ-ის ძაბვის ამალღება 35 კვ-მდე, რომელიც განხორციელდება ჰესის სატრანსფორმატორებში ძაბვის ამალღების გზით (საკაბელო ქსელის პარამეტრები იძლევა, როგორც 10 კვ, ისე 35 კვ ძაბვის გატარების საშუალებას, შესაბამისად ახალი ტერიტორიის ათვისება გათვალისწინებული არ არის);
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ 110 კვ ძაბვის ეგხ-ის 45-ე საყრდენთან ღია ტიპის 110 კვ ქვესადგურის „ბასრას“ მოწყობა (ს/კ: 26.33.23.122);
- ეგხ „შემოქმედამდე“ გაყვანილი 35 კვ ძაბვის საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ „ბასრას“ ქვესადგურამდე დაგრძელება 30 მეტრით.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ახალი ტერიტორიები ათვისებული იქნება მხოლოდ „ბასრას“ საკაბელო ქსელის საპროექტო 110 კვ ქვესადგურამდე დაგრძელების (30 მ) და 110 კვ ქვესადგურის მოწყობის ადგილზე (~5000 მ<sup>2</sup>). ძალურ კვანძებში დამატებითი ტურბინების დამონტაჟების მიზნით საჭირო არ არის არსებული ჰესების შენობების გაფართოება-რეკონსტრუქცია და შედეგად ახალი ტერიტორიების ათვისება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება არსებული გზები და დამატებითი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების (ტურბინების დამონტაჟება, ეგხ-ის დაგრძელება და ქვესადგურის მოწყობა) ვადად განსაზღვრულია 2 თვე. დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის ან/და სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში მომსახურე პერსონალის წყლით მომარაგება მოხდება ადგილზე მიტანილი წყლით. სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე გამოყენებული იქნება ბიო-ტუალეტები.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებლებიდან, მათ შორის საკაბელო ეგხ-ის და ქვესადგურისთვის ასათვისებელი ტერიტორიის ფართობიდან გამომდინარე, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ქვესადგურის მოწყობის დროს მოსალოდნელი არ არის დიდი რაოდენობით გრუნტის წარმოქმნა. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გრუნტი დროებით განთავსდება ექსკავაციის ადგილზე და გამოყენებული იქნება უკუყრილებში და ტერიტორიის რეკულტივაციისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესების ექსპლუატაციით იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეებია: სამიგრაციო გზების ბლოკირება; მდინარის ცალკეული უბნების ამოშრობა და საარსებო გარემოს შეზღუდვა; მდინარის ამღვრევა და წყლის დაბინძურება. მთავარ შემარბილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს: ჰესების სათავე კვანძებზე თევზსავალების გამართული ოპერირება და ზემოქმედებას დაქვემდებარებულ არეალში განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯების მუდმივად მოდინების უზრუნველყოფა და მდინარის უწყვეტობის და თევზის სამიგრაციო მარშრუტების შენარჩუნება. იქთიოფაუნის სავლელე კვლევების შედეგები და ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების ფარგლებში ხე-მცენარეებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. წინასწარი შეფასებით

საკაბელო ქსელისა და ქვესადგურის განთავსების ადგილზე 8 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეების მოჭრის/გარემოდან ამოღების საჭიროება არ არსებობს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის საზღვრებში. პროექტის განხორციელება (35 კვ საკაბელო ხაზის გაყვანა) დაგეგმილია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოპოვება, რისთვისაც საპროექტო დერეფანში ჩატარდება ხე-მცენარეული საფარის კვლევა.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საკვლევ ზონაში ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტებიდან წარმოდგენილია მხოლოდ „ბჟუჟჰესი“, რომელიც განთავსებულია „ბასრა 3-1“-ის სააგერეგატო შენობიდან დაახლოებით 150 მეტრში. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის არეალში და მის მიმდებარედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ დაფიქსირებულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 26 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შპს „პარვუს ბასრას“, გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ პროცედურებსა და გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა/მეთოდოლოგიაზე, პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებზე, შესრულებულ და დაგეგმილ სამუშაოებზე, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ წარმოდგენილ იქნა შენიშვნები/მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ პროცედურებს და ჰესების პროექტების შესაძლო

ხელოვნურად დაყოფას, ასევე გარემოსდაცვით საკითხებს, მათ შორის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა/მეთოდოლოგიას, სიმძლავრეების გაზრდას და აღნიშნულიდან გამომდინარე გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას. გარემოსდაცვითი მიმართულებით კვლევების ჩატარების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე და გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების კვლევების ჩატარების მნიშვნელობას. ზემოაღნიშნული შენიშვნები, სკოპინგის დასკვნასთან ერთად, გადაეგზავნება საქმიანობის განმახორციელებელს. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

## 5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“, „ბასრა 4“ ჰესების გათვალისწინებით) დეტალური აღწერა;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების (ეგზ-ის და ქვესადგურის) განთავსების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება. მათ შორის: ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების (ეგზ-ის გაყვანა და ქვესადგურის მოწყობა) ადგილების საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, ჰესების ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;
- ინფორმაცია ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის სათავე კვანძებისა და ძალური კვანძების საძირკვლებისა და თხემების ნიშნულები);
- ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰესების შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰესების ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი, ჰესების შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ასევე ქვესადგურის აღწერით და სქემატური ნახაზებით, ჰესების ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძების საანგარიშო დატვირთვის შესახებ, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების მითითებით;
- სათავე კვანძებზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის ინფორმაცია ნამატი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭის შესახებ);
- ინფორმაცია ბასრას ჰესების სათავე კვანძებზე შეკავებული წყლის მოცულობების და შეტბორილი ადგილების ფართობების შესახებ ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. ნორმალური,



მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის უბნის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებზე;

- გზშ-ის ანგარიშში უნდა დასაბუთდეს ჰესების თევზსავალების ტიპების უპირატესობა სხვა სახის თევზსავალებთან შედარებით. ასევე, ანგარიშში უნდა მოიცავდეს თევზსავალის დეტალურ აღწერას, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის თევზსავალების ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება); თევზსავალ ნაგებობებში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაციას;
- დეტალური ინფორმაცია ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) სადერივაციო-სადაწნეო სისტემების შესახებ (სქემატურ ნახაზებზე ასახვით), მათ შორის: მილსადენის ტიპისა და პარამეტრების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მილსადენების მდებარეობის პირობებისა და მდინარის, შენაკადებისა და ხეობების გადაკვეთის შესახებ;
- ინფორმაცია ჰესების („ბასრა 1“, „ბასრა 2“, „ბასრა 3“ და „ბასრა 4“) და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დაცვის ღონისძიებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძების შესახებ, ძალური კვანძების შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია), ასევე ჰესების შენობებში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ჰესების ძალური კვანძებიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხების პარამეტრების მითითებით, ჩაშვების წერტილების ნიშნულებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო 35 კვ ეგზ-ის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის შესახებ, დაზუსტებული საპროექტო მახასიათებლების მითითებით:
  - ინფორმაცია არსებული და საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების დაზუსტებული სიგრძისა და გამანაწილებელ ქსელთან დაერთების შესახებ (სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
  - ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ;
- საპროექტო ქვესადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი და პროექტის ყველა შემადგენელი ტექნიკური ნაგებობა-ობიექტის აღწერა;

- საპროექტო ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთშემკრები სისტემის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძების უბნებზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და, ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები და shp ფაილები) მითითებით,
- ჰესების ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში), აღებული წყლის რაოდენობის, თვეების მიხედვით და წყალაღების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;

### 5.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკისა და ვადების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და მათი რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები;

- ინფორმაცია მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო უზენაესად მისასვლელი გზების შესახებ (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით);

## 5.2 გზმ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ;
- ინფორმაცია მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- ინფორმაცია მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული მონაკვეთი) შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო არეალში ზედა და ქვედა ბიეფებში მდ. ბჟუჟას შენაკადების შესახებ, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჰესების მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძების ქვედა ბიეფებში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). აღსანიშნავია, რომ ბასრა 2-ის ჰესის N2 სათავე ნაგებობის ეკოლოგიური ხარჯია - 0,05 მ<sup>3</sup>/წმ, ბასრა 4 ჰესის - N2 სათავე ნაგებობის 0,03 მ<sup>3</sup>/წმ. მოცემული უნდა იყოს თითოეული სათავე კვანძისთვის ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობებად მიღებული საშუალო მრავალწლიური ხარჯების 10%-ის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯები მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯების გაზრდის შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია -ჰესების ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლებების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);

### 5.3. ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- სკოპინგის ანგარიშში ძირითადად მოცემულია ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- გზშ-ის ანგარიშში დასაბუთებული უნდა იყოს ჰესების სიმძლავრეების გაზრდით, გამოწვეული ზემოქმედება წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე. ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, სხვასთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში სრულფასოვნად უნდა აისახოს კუმულაციური ზემოქმედების განსაკუთრებით „ბჟუჟჰესთან“ მიმართებაში მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკები და ამ ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების მყარად დასაბუთებული ინფორმაცია.
- ჰესების ექსპლუატაციის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში (და არა ერთი წლის, როგორც ანგარიშშია მითითებული) უნდა განხორციელდეს იქთიოფაუნის მონიტორინგი, ყურადღება გამახვილდეს მათ რაოდენობრივ მაჩვენებელზე და ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად განხილული უნდა იქნეს მდინარე ბჟუჟას დათევზიანება. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში ფონური მდგომარეობის ანალიზის ბიომრავალფეროვნების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე ჰაბიტატების მიმოხილვა (EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის შესაბამისად), რომლებზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჰესებმა. შედარებითი ანალიზის მიზნით, იქთიოლოგიური მონიტორინგისათვის, ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედების არეალს მიღმა არსებული საკონტროლო უბნები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია;

### 6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ინფორმაცია მოსახლენი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილების შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ჰესების ექსპლუატაციით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდ. ბჟუჟას და მისი შენაკადების ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ ინფორმაცია;
- ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის ტურისტულად აქტიურ სეზონზე სატრანსპორტო ოპერაციების შეზღუდვის შესაძლებლობის საკითხები). ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას

**გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობები;**

- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები);
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული (მათ შორის, ბჟუჟჰესი) ან/და საპროექტო ჰესების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული, **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

**7. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯების (თითოეული სათავე ნაგებობისთვის) პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით, ასევე თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით:**



**ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%**

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

**8. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 136 630 კვ.მ. (shp ფაილები) ფართობიდან, 87 270 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. ასევე 50366 კვ.მ ფართობი მთლიანად ან ნაწილობრივ ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე: ს/კ 26.33.23.333; ს/კ 26.33.23.335; ს/კ 26.33.23.207; ს/კ 26.33.23.208; ს/კ 26.33.23.325; ს/კ 26.33.011.000; ს/კ 26.33/23.322; ს/კ 26.33.011.001; ს/კ 26.33.23.332; ს/კ 26.33.011.003; ს/კ 26.33.23.341; ს/კ 26.33.23.342; ს/კ 26.33.23.342; ს/კ 26.33.23.337; ს/კ 26.33.23.338; ს/კ 26.33.011.002; ს/კ 26.33.24.135 და ს/კ 26.33.23.339. წარმოდგენილი საკადასტრო კოდებიდან: N 26.33.23.332; N 26.33.23.333; N 26.33.23.335; N 26.33.23.337; N 26.33.23.338; N 26.33.23.339; N 26.33.23.341; N 26.33.23.342 და N26.33.24.135 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ფართობებზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შპს „პარვუს ბასრასთვის“ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების თაობაზე, ხოლო N26.33.23.207; N26.33.23.208; N26.33.23.325; N26.33.23.322 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ფართობებზე - შპს „პარვუს ბასრას“ მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სპეციალური



ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან (შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში). იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია ტყის სტატუსის შეწყვეტის უფლების მოპოვება, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“.

- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური განმარტებები ჰესების სიმძლავრეების გაზრდასთან, მაგ: განმარტებას საჭიროებს ბასრა-2 ჰესის შენობაში 3 მ<sup>3</sup>/წმ სიმძლავრის ნაკადით 9,34 მგვტ სიმძლავრის ელ. ენერჯის გამომუშავება და სხვ.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ჰესების მიერ წლიური გამომუშავებული ელ. ენერჯის რაოდენობა სეზონების მიხედვით, სეზონის რა პერიოდებში მოხდება ცალკეული აგრეგატების გაჩერება და ა. შ.
- ჰესების შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები (საკაბელო ეგზ-ს დაგრძელება/გაყვანა და ქვესადგურის მოწყობა) უნდა მოეწყოს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- Shp ფაილების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო 110 კვ ძაბვის ქვესადგური მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან (შ-45 ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთა) დაახლოებით 10-15 მეტრის დაშორებით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვინაიდან „ბასრა 3-1“ ძალური კვანძი გამოიყენება „ბასრა 3-1“ ჰესებისთვის და ენერჯის გენერირება ხდება საერთო ჰესის შენობაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია (სქემატურ ნახაზებზე ასახვით) დამოუკიდებლად ხდება თუ არა თითოეული ტურბინისთვის ჰესების სათავე ნაგებობებიდან აღებული წყლის მიწოდება და შესაძლებელია თუ არა, ტურბინების ფუნქციონირება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად;
- სკოპინგის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში მოცემული ინფორმაციის ნაწილი არ ემთხვევა ან/და სათანადოდ არ არის ასახული shp ფაილებზე (მაგ: სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ბასრა 1“-ის ტურბინას წყალი მიეწოდება უშუალოდ „ბასრა 1“-ის

სათავე კვანძიდან, ხოლო ბასრა 3-ის ტურბინას, ბასრა 3-ის სათავე კვანძიდან, თუმცა shp ფაილების მიხედვით, წყლის მიწოდება ტურბინებთან ხდება საერთო მილსადენით). აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;

- დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ჩანაწერები: „ბასრა 2-ის” საერთო სალექარში შესაძლებელი იქნება ასევე „ბასრა 4-ის” მიერ გამონამუშევარი წყლის მიღება; “ამ ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში იქთიოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების რისკები არ არსებობს”;
- სკოპინგის ანგარიშში, გვ. 120-ზე მითითებულია, რომ მოხდება თევზამრიდის ეფექტურობის უზრუნველყოფა და მდგრადობის მუდმივი კონტროლი, თუმცა დოკუმენტში სხვა სახის ინფორმაცია თევზამრიდზე წარმოდგენილი არ არის, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ჰესების შენობებში არსებული ტურბინების შეცვლა უფრო მაღალი სიმძლავრეების მქონე ტურბინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მოხდება ტურბინების შეცვლა და რამდენად იძლევა არსებული ჰესის შენობების კონსტრუქციები, გადაკეთების გარეშე უფრო მაღალი სიმძლავრეების ტურბინების განთავსების საშუალებას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „პარვუს ბასრას” მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ოზურგეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, მდინარე ბჟუჟას ხეობაში „ბასრა 1”, „ბასრა 2”, „ბასრა 3” და „ბასრა 4” ჰესების დადგმული სიმძლავრეების გაზრდას, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.